

მის აღმატებულებას, ბ-ნ მამუკა კუდავას,
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საფრანგეთში,
იუნესკოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს

7 ივლისი 2010

საგანი: ბაგრატის ტაძარზე და გელათის მონასტერში, საქართველო,
მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იკომოსისა და იკრომის
მრჩეველთა ერთობლივი მისიის ანგარიშის მიწოდება;

ბატონო ელჩო,

გთხოვთ, იხილოთ ბაგრატის ტაძარზე და გელათის მონასტერში, საქართველო, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იკომოსისა და იკრომის მრჩეველთა ერთობლივი მისიის ანგარიში, რომელიც თან ერთვის ამ წერილს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თქვენი ქვეყნის ცენტრალურ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ყველა მონაწილეს ამ მისიის წევრთათვის გაწეული თანადგომისა და თანამშრომლობისათვის.

შესაძლოა, თქვენ საჭიროდ ჩათვალოთ და თქვენთვის ხელასურველ უმოკლეს ვადებში კომენტარები დაურთოთ თანდართულ ანგარიშს.

აქვე, ნება მომეცით ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაგიხადოთ თქვენი თანამშრომლობისა და თანადგომისათვის მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის განხორციელების საქმეში.

ბატონო ელჩო, მიიღეთ ჩემი გულწრფელი დასტური თქვენდამი ჩემი დიდი პარივისცემისა.

ფრანჩესკო ბანდარინ

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

წერილის ასლი: იუნესკოს საქართველოს ეროვნულ კომიტეტს;
იკომოს ინტერნეიმნალს;
იკრომს.

მსოფლიო მემკვიდრეობის 34 –ე სესია

შეზღუდული გაერცელებისათვის
ივლისი, 2010

პარიზი,

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და
კულტურის ორგანიზაცია – UNESCO

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის
დაცვის კონვენცია

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი
ოცდამეთოთხმეტე სესია/ ბრაზილია, ბრაზილია
2010 წლის 25 ივლისი – 3 აგვისტო

საკითხი 7 პირობითი დღისწესრიგისა: მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში
და/ან საფრთხის ქვეშ მყოფი
მსოფლიო მემკვიდრეობის
ნუსხაში შესული ძეგლების
კონსერვაციის მდგომარეობა

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იკომოსისა და იკრომის მრჩეველთა
ერთობლივი მისიის ანგარიში

ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი, საქართველო

15-17 მარტი 2010

მისიის წინამდებარე ანგარიში განხილული და წაკითხული უნდა იქნას
WHC- 10/34.COM/7B.ADD-დოკუმენტან ერთად.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იკომოსისა და იკრომის მრჩეველთა ერთობლივი მისიის ანგარიში ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის შესახებ

საქართველო

2010 წლის 15-17 მარტი

სამადლობელი:

მისიის წევრები უდიდეს მადლობას უხდებიან საქართველოს ოფიციალურ პირებს მათი სტუმართმოყვარეობის, თანადგომის, მუდმივად გვერდით ყოფნისა და დახმარებისათვის და მათი გულწრფელი სურვილია საგანგებო მადლიერების გრძნობით აღნიშნონ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საქართველის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის დოქტორ ნიკოლოზ ვაჩიშვილის თანადგომა, რომელმაც მისიეს წევრებთან მრავალი შეხვედრისას ფასეული ინფორმაცია მიაწოდა მათ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესახებ და დიდად დაეხმარა მათ მრავალი რთული საკითხის გარკვევა-მოგვარებაში.

მისიის წევრები მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II, რასად ისინი უდიდეს პატივად თვლიან. ამთან მათ სურთ მადლობა გადაუხადონ საპარტიარქოს არქიტექტურის, რესტავრაციის და ხელოვნების ცენტრის თითოეულ წევრს მათი აქტიური მონაწილეობისათვის შეხვედრებში, პრეზენტაციებსა და საველე გასვლებში.

განსაკუთრებული მადლობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კოლექტივს, საგანგებოდ – ქ-ნ რუსუდან მირზიკაშვილს, იუნესკოსა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსს და ბ-ნ პეტრე კანკავას, რომელმაც ძალ-ღონე არ დაიშურა მისიეს ორგანიზაციის საქმეში და დიდად შეუწყო ხელი სხვადასხვა ექსპერტებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და საერთოდ, მსოფლიო მემკვიდრეობის საქართველოს ძეგლების კონსერვაციითა და დაცვით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრებისმოწყობა გაადვილებას.

საგანგებო მადლობა იუნესკოს საქართველოს ეროვნულ კომიტეტს დამის გენერალურ მდივანს, ქ-ნ ქეთევან კანდელაკს, რომელიც მუდმივად მხარს უწერდა და თანახმად მისიას ძეგლებზე საველე გასვლების დროს.

მისიის მიზნები

კომიტეტმა თავისი 33-ე სესიის დროს წევრ სახელმწიფოს განმეორებით დაუგზავნა მოთხოვნა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისათვის ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის მართვის გეგმის უსწრაფესად მომზადების დამტკიცება-მიღების და მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისათვის და მრჩველთათვის მიწოდების თაობაზე. მოთხოვნის დანახმად, ამ დოკუმენტში მკვეთრად და ნათლად უნდა ყოფილიყო ნაჩვენები ძეგლების საძღვრების და ბუნებრივი ზონების განმსაზღვრელი დოკუმენტაცია. ამასთანავე, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა წევრ სახელმწიფოს მოსთხოვა დეტალური და სრული ინფორმაციის მიწოდება ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგის შედეგებისა და სარეკონსტრუქციო პროექტის შესახებ, ისევე, როგორც ანგარიშისა ამ პროექტის მიხედვით უკვე განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

საბოლოოდ, კომიტეტმა წევრ-სახელმწიფოს შესთავაზა კონფერენციის მოწვობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციების მონაწილეობით, სადაც ნაქნიხილავდნენ საქართველოში მდებარე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ყველა პროგრამას. ამასთან ერთად, კომიტეტმა წევრ-სახელმწიფოს სთხოვა 2011 წლის 1-ლი თებერვლისათვის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისათვის წარედგინა ანგარიში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, რომელთა ერთად მოწოდებული უნდა იყოს სრული და დეტალური დოკუმენტაცია ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის ახალ პროექტთან დაკავშირებით, რომელაც მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი შეისწავლის 35-ე სესიაზე 2011 წელს (გადაწყვეტილება 33 COM 7B. 103)

2009 წლის სექტემბერში წევრმა სახელმწიფომ წარადგინა ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის წინასწარი პროექტი, ამ პროექტის ჩარჩოებში ცატარებული საკვლევადიებო სამუშაოების ზოგადი ანგარიში და ანგარიში ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, რომელშიც მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მოითხოვა თავის 33-ე სესიაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილა იკომოსის საბჭომ და 2010 წლის 17 თებერვალს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრამა მათი კომენტარები გადაუგზავნა წევრ-სახელმწიფოს.

იკომოსის მიერ შემუშავებული დოკუმენტის მოლკე დასკვნები ასეთია:

- ის რასაც პროექტი გვთავაზობს, შესაძლოა ჩაითვალოს “ევანსის შემთხვევის” განმეორებად, რაც ამ ასი წლის წინ მოხდა კ-ნ კრეტაზე, საბერძნეთში. არ არის სწორი წარსულის შეცდომების განმეორება.
- შემოთავაზებული სარეკონსტრუქციო პროექტის მიზანია ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს კვლავ დაუბრუნოს საკათედრო ტაძრის თავდაპირველი ფუნქცია და მისი აღდგენის გზით შექმნას ახალი

საერთო ეროვნული სიმბოლო. თუმცა, ამ შემთხვევაში ტაძრის არსებული აუთენტური სტრუქტურა დაირღვევა და მას თან გადაჰყვება ხელოსნობისა და ქვითხურობის ჯერ კიდევ შენარჩუნებული ავთენტური ნაშთები. აღდგენის პარალელურად ასევე დაიკარგება ძეგლის ავთენტური სული და “ისტორიის სუნთქვა,” რომლებსაც ვეღარასდროს აღიქვავენ მომავალი თაობები. ამდენად, შემოთავაზებული პროექტი უარყოფილი უნდა იქნას იმის გამო, რომ იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას და მის ავთენტურობას;

- იკომოსოი თვლის, რომ შესაძლებელი უნდა იყოს არსებული პროექტის გაუმჯობესება რათა შენარჩუნდეს ნანგრევების ავთენტურობა და ამასთანავე შესაძლებელი გახდეს ძეგლის, როგორც ეკლესიის გამოყენება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა დაადასტურა თავისი სურვილი დაეკმაყოფილებინა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მოთხოვნა და შეხვედროდა იკომოსის წარმომადგენლებს მცხეთაში მათი სარეაგირებო სამონიტორინგო მისიის შემდეგ. ამ შეხვედრის დროს განიხილავდნენ შესაძლო სამომავლო გზებს ამ კონკრეტული ძეგლებთან დაკავშირებით, მათი კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ საბოლოო ანგარიშის დასრულებამდე.

საქართველოს ოფიციალურმა პირებმა წარადგინეს ძეგლთა საზღვრების დამდგენ-განმსაზღვრელი დოკუმენტაცია სადაც ნათლადაა გამიჯნული მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების “ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის ” ბუფერული ზონები. ეს დოკუმენტი განსახილველად წარედგინება მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტს 2010 წლის 34-ე სესიაზე (იხ. დოკ. WHC-10/34.COM/8D).

ამასთან ერთად, საქართველოს მხარემ წარმოადგინა გელათის მონასტერიეს რეაბილიტაციის პროექტი (იხ. დანართი)

წვერი სახელმწიფოს მიწვევით მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იკომოსისა და იკრომის მრჩეველთა ერთობლივი მისია ეწვია საქართველოს 2010 წლის 15-17 მარტს, რომლის დროსაც:

- შეფასდა ბაგრატის ტაძარზე და გელათის მონასტერში ჩატარებული სამუშაოები;
- მოხდა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგის შესახებ არსებულკი ინფორმაციის მომთხილვა და ამასთანავე შესწავლილი იქნა ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტი და შეფასდა ამპროექტის მიხედვით ჩარაეწებული სამუშაოები.

- შეფასდა გელათის მონასტრისა და ბაგრატის ტაძრის ინტეგრირებული მართვის გეგმების მომზადების პროცესში განხორციელებული პროგრესი.

შეჯამება და რეკომენდაციები

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იკომოსისა და იკრომის მრჩეველთა ერთობლივი მისია 2010 წლის 15-17 მარტს ეწვია საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წელს შეტანილი ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის კონსერვაციის მდგომარეობის შემოწმების მიზნით.

მისაიმ თვალნათლივ იხილა, რომ მისი ჩასვლისათვის ძველზე უკვე განხორციელებული იყო ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტის პირველი ფაზით გათვალისწინებული ძირითადი ჩარევები.

მისია აღნიშნავს სერიოზულ უარყოფით ჩარევებს, როგორცაა ტაძრის საძირკვლის გამაგრება მიწისქვეშა რკინაბეტონის სარტყლით ძველის გარშემო, რკინაბეტონის კოლონების ღმართვა, კედლების ორიგინალური ზედაპირების ნარილობრივ დაფარვა ქვის ახალი ფირფიტებით და რკინაბეტონის ცხაურით.

სამომავლოდ დაგეგმილი სამუშაოები კიდევ უფრო მძლავრ ზემოქმედებას მოახდენს არსებულ ნანგრევებზე.

მასპინძელი მხარის სურვილია აღადგინოს ძველის უკლებლივ ყველა დანგრეული ნაწილი რათა საბოლოოდ აღდგეს თავდაპირველი შენობა მისი ფუნქციითურთ, როგორც ელკესისა.

ყოველივე ზემოთქმულის მისაღწევად დაგეგმილია მთელს პერიმეტრზე რკინა-ბეტონის სარტყლის მოწყობა არსებული ქვის წყობის კედლების თავზე, არსებული ორიგინალური ქვის სვეტების ნაცვლად ახალი რკინა-ბეტონის სვეტების ამოყვანა, ვეებერთელა თაღოვანი მოცულობების და გუმბათის აშენება რკინა-ბეტონით, ხოლო ბეტონის კონსტრუქციების ედაპირების დაფარვა ქვის ფილებით, რაც ორიგინალური ქვის წყობის იმიტაცია იქნება.

მისია აღნიშნავს, რომ პროექტით დანსაზღვრული რეკონსტრუქცია მხლიდ ნაწილობრივად დოკუმენტირებული და პაგეგმილი სამუშაოების უდიდესი ნარილი წმინდად ჰიპოთეტურია. საქმე ისაა, რომ გეომეტრიული პროქცირებით შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ დანგრეულ-დაზიანებულ თაღების აღდგენა და ამ მიზნით ჩარჩო-ფორმების გამოყენება, ხოლო თაღების სიმაღლე, გუმბათის ყელის ფორმადა გუმბათის სიმაღლე მხოლოდ ჰიპოთეტურად და პირობითადაა განსაზღვრული.

პროექტის შემსწავლელ-შემუშავებელი მასპინძელი მხარის გამნარტებით მის მიერ შემუშავებული და განხორციელების სტადიაზე მყოფი მიდგომა ერთადერთი გზაა იმისათვის, რომ არსებული ნანგრევები საიმედოდ იქას დაცული ატმოსფერული და ნებისმიერი სამომავლოდ მოსალოდნელი სეისმური აქტივობების მაწე ზემოქმედებებისაგან და ამათან ერთად იმისათვის, რომ სრულფასოვნად აღდგეს ძეგლის, როგორც ეკლესიის ფუნქცია.

ამას გარდა, მისია აღნიშნავს, რომ საქართველოს საპატრიარქოს ტექნიკური წარმომადგენლის განსხვავებული პოზიციის თანახმად ძეგლი, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში თითქოს შეტანილი იქნა როგორც “ერონული იდენტურობისა და ერთიანობის სიმბოლო” მის ახლანდელ, ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაში სრულიად არ პასუხობს იმ განსაზღვრებას, რომლის გამოც მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა ეს ძეგლი შეიტანა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში როგორც “შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის მიღწევა.”

მისია იხსენებს, რომ იკომოსის 2004 წლის მისიის განცხადებით “ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ ძეგლის აღდგენის გადაწყვეტილება იმდენად ურყევია, რომ იგი შესაძლოა განხორციელდეს კიდევ იმ რისკების მიუხედავად, რომ მისმა აღდგენამ შესაძლოა გამოწვიოს მისი ამოღება მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან.” შემდეგ მისია დასძენდა, რომ “ჩვენის აზრით იკომოსმა და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა ყველა შესაძლო ღონე უნდა იხმაროს მასპინძელი მხარის დასარწმუნებლად, რომ თავი აარიდოს ნანგრევების ხელახალ აღდგენა-აშენებას.”

მისაიმ გამოხატა თავისი მკვეთრად ოპოზიციური მიდგომა ძეგლის აღდგენასთან დაკავშირებით, მითუმეტეს, რომ რეკონსტრუქცია არ ეფუძნება ქვის კონსერვაციის სამეცნიერო მეთოდოლოგიას და საერთაშორისო დონეზე გაზიარებულ კონსერვაციის ფილოსოფიას. ისაიმ ძლიერი ეჭვი გამოხატა იმ “საგანგებო და სრულიად განსაკუთრებული გარემოებების გამო”, რომელთა საშუალებითაც მართლდება ძეგლის რეკონსტრუქცია. მართალია, არის ძეგლის პირვანდელი სახი აღდგენის სახალხო და პოლიტიკური ნება, მაგრამ იგი რამდენიმე საუკუნის წინ დაინგრა და მან ასეთი სახით განაგრძო არსებობა და ახლა ესაა მისი ისტორია.

მისია ასევე აღნიშნავს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოც გამოთქვამს თავის შენიშვნებს რეკონსტრუქციის არსებული პროექტის მიმართ.

გელათის მონასტერთან დაკავშირებით მისია აღნიშნავს, რომ მისიისათვის წარდენილი კომპლექსური კონსერვაციის გენერალური გეგმა ადეკვატურად პასუხობს არსებულ პრობლემებს და მონასტრის საძმოს

სამომავლო საჭიროებებს. მასში განხილულია მონასტერში მოსულ დამთვალეირებლებთან და ტურისტებთან დაკავშირებული პრობლემატიკა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველი მოქმედი მონასტერია, იგი კარგადაა ორგანიზებული და იქ ფუნქციები ეფექტურადაა განაწილებული, ამასთან, გათვალისწინებულია ბერთა რაოდენობის შესაძლოს გაზრდაც, რისთვისაც მონასტრის ახლომახლო მოწყობილია მათი სადგომ-სენაკები. მართვის გენარალურ გეგმაში წარმატებულადაა გამიჯნული დამთვალეირებელთათვის ღია და მონასტრული ცხოვრებისათვის აუცილებელი დაცული ზონები. კერძოდ, ამ გეგმის მიხედვით შემოთავაზებულია დამთვალეირებელთათვის ცალკე შენობა-ნაგებობების და სხვა საშუალებების უზრუნველყოფა მონასტრის ტერიტორიის გარეთ, ხოლო საერო პირთა გადაადგილება მონასტრის ტერიტორიაზე უნდა მოხდეს ორგანიზებულად და წინასწარ შემუშავებული საქსკურსიო მარშრუტებით.

მისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია ძველების მართვის გეგმების შემუშავება და რეალური ამოქმედება, სადაც განხილული იქნება ძველის მოვლა-პატრონობისა და მართვის ყველა ასპექტი, ძველების სტრუქტურული კონსერვაციის და რესტავრაციის პროგრამისა და მართვის კომპლექსური გრძელვადიანი პროგრამის ჩათვლით.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მრავალგზისი კონსულტაციების და ძველებზე სავსე გასვლების საფუძველზე მისაიმ შეიმუშავა და მოამზადა ძველების კონსერვაციის სასურველი მდგომარეობის შესახებ დოკუმენტის სამუშაო ვერსია, მათი განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის გათვალისწინებით და საბოლოოდ ამ ძველების, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძველების ნუსხაში შეტანის მიზნით. აქვე მოცემულია გამოსასწორებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და მათი განხორციელებისათვის საჭირო გეგმა-გრაფიკი.

ძველების კონსერვაციის მდგომარეობის შეფასება

გელათი

სამონასტრო კომპლექსი გარშემო მდებარე სოფელს გადმოუყურებს. ძალზედ მნიშვნელოვანია რომ ძველის კავშირი და “ჩაწერილობა” ბუნებრივ ლანდშაფტთან და განაშენიანებესთან სამომავლოდაც არ დაირღვეს და შენარჩუნდეს.

დადებითი ღონისძიებები.

- მისიისათვის განსახილველად წარდგენილი კონსერვაციის გენერალური გეგმა ადეკვარურად პასუხობს სამონასტრო კომპლექსის სამომავლო საჭიროებებსა და დამთვალეირებლებთან

დაკავშირებულდა პრობლემურ საკითხებს. ამასთან, მონასტერი კარგადაა ორგანიზებული იმის გათვალისწინებით, რომ იგი ცოცხალი და მოქმედი ძეგლია. გათვალისწინებულია რიგი ღონისძიებების განხორციელება ბერთა საძმოს გაზრდის შემტხვევაში – მათთვის გათვალისწინებულია სადგომ-სენაკების მშენებლობა მონასტრის გარეთ, მის ახლოს.

- გენერალურ გეგმაში კარგადაა გამოჯმულ ბერების სამონასტრო ცხოვრება და მათი ადგილ-სამყოფელი დამტვალიერებლების საკადებისაგან, რაც უმტავრესად დამთვალიერებლებისათვის განკუთვნილი ახალი შენობა-ნაგებობების ხარჯზე მოხდება, რომლებიც მონასტრის ტერიტორიის გარეთ უნდა აიგოს.
- გელათის აკადემიის შენობა მაღალ დონეზე არღვნილ-რესტავრირებული, თუმცა მართვის ზოგადი გეგმიდან გამომდინარე მისისათვის ბოლომდე გარკვეული არ არის ამ შენობის სამომავლო დანიშნულება;
- აკადემიის შენობის ირგვლივ და მის შიგნით არქეოლოგიური გათხრები უკვე ჩატარებული იყო, რომელთა შედეგად მრავალი საინტერესო მასალა იქნა მოპოვებული, რამაც აკადემიის შუასაუკუნეების პერიოდის მრავალ საინტერესო საკითხი გამოამზეურა. გათხრების შედეგად არმოჩენილი მასალა და ნივთები წარმატებით იქნა გამოყენებული შენობის რესტავრაციის დროს.

უახლესი საკონსერვაციო სამუშაოების ისტორია

კედლის მხატვრობა

2002-2003 წლებსი დაიგემა გელათის მონასტრის ღვთისმსობლის ტაძრის საკონსერვაციო სამუშაოები. ამ მიზნით საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ფონდმა განახორციელა ტაძრის კედლის მხატვრობის დიაგნოსტიკა და კვლევა, რომლის ჩარჩოებშიც ცატარდვ შემდეგი სამუშაოები:

- საარქივო მასალბის შესწავლა;
- კედლის მხატვრობის მდგომარეობის შესწავლა;
- გარემოს გეოლოგიური შესწავლა;
- ნასტის შემცველობის კვლევა;
- ლაბორატორიული კვლევა და ქიმიურ –ბიოლოგიური ანალიზი.

აკადემიის შენობის კონსერვაცია

ცოტა ხნის წინ დასრულდა გელათის აკადემიის შენობის კონსერვაცია რომლის დროსაც ჩატარებული სამუშაოების ძიტრადი ტვიებები შემდეგია:

- განხორციელებული ჩარევების უმრავლესობა უკუქცევადია. კრამიტი ადგილობრივ იქნა შესყიდული, რომელიც სახურავზე დალაგების წინ გაიწმინდა. მათი უმრავლესობა სავარაუდოდ XIX საუკუნისაა.
- ჩარევები ძირითადად ხელით განხორციელდა, რომლის დროსაც არ გამოუყენებიათ მექანიკური მანქანა-დანადგარები მონასტრის ტერიტორიაზე მათ შეყვანასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.
- შემინული ლოჯია- დასათვალიერებელი ადგილი, რომელიც აკადემიის შენობის გარეთ მოეწყო დარკინა-ბეტონის კარკასის მქონე სტრუქტურას წარმოადგენდა შეიცვალა აივნით, რომელიც რკინა-ბეტონზე უფრო მეტად თავსებადი მასალისაგანაა შექმნილი;
- ღვინის მარანი – მარნის მარჩენები აღმოჩნდა გათხრების დროს და საბოლოოდ ისინი სარესტავრაციო პროექტში აღმოჩნდა. ნარჩენების თავზე შუშის იატაკია მოწყობილი, საიდანაც მოსულს შეუძლია მარნის დათვალიერება.

გათხრებისას არქეოლოგებს კულტურული ფენები არ შეხვედრიათ, ვინაიდან შენობა პირდაპირ დედაქანზეა აშენებული. საკუთრივ შენობას ატყვია მშენებლობის სამი ეტაპის კვალი.

ახლო წარსულში ჰიდრავლიკური და სადრენაჟე საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო, განსაკუთრებით იმ დელეს მიმართ, რომელიც მონასტრის ტერიტორიის შუაში მოედინება. ამ სამუშაოების დროს გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ სამონასტრო კომპლექსი ციცაბო მთის ფერდობზეა განლაგებული.

კონსერვაციის მიმდინარე საკითხები

ა. ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ეკლესია – ექსტერიერი

- მონასტრის ძირითადი პრობლემა სინესტეა, რაც დაზიანებული სახურავიდან, საწვიმარი მილებიდან, ფანჯრის ბუდეებიდან, სადრენაჟე მილებიდან შენობაში წყლის შეღწევის გამოა რაც საგრძნობლად ანესტიანებს მას. სამშენებლო ქვა სერიოზული სტრუქტურული პრობლემების წინაშეა და ნაწილობრივი რეკონსტრუქცია სჭირდება, განსაკუთრებით გუმბათსა და ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილს. სახეზეა ისეთი მოვლენები, როგორცაა აქერცვლა, კოროზია, ნაპრალები, ქვების ჩამოცვენა, ღია ნაკერები და გადაბმები და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში ეხვედებით დაზიანებების იმპროვიზირებული აღმოფხვრის მცდელობებს საამშენებლო ცემენტის საშუალებით.
- საბჭოთა წყობილების დროს გელათის მონასტრის ელკესიები მოთუთიებული თუნუქით იყო გადახურული, რომლებიც კარნიზებზე რკინის სამაგრებით იყო მიმაგრებული. მარტალია, ასეთი გადახურვა გარკვეულწილად ამართლებს, ვინაიდან არსებული

ნაპრალებიდან და თავდაპირველი ქვის კრამიტებიანი სახურავის გატეხილი ადგილებიდან წვიმის წყლის ჟონვა შემცირებულია, სხვა მხრივ თუნუქის გადახურვა არადამაკმაყოფილებელია. კერძოდ:

- ასეთი მასალა არ არის აეთენტური
- თუთიის ფენის ქვეშარსებული ნებისმიერი სინოტივე ან სითხე ვეღარ ორთქლდება.

წყალი შესაძლოა სხვა დაზიანებული ნაწილებიდანაც შევიდეს ან სულაც კონდენსირების შედეგად გაჩნდეს. ამასს გარდა ასეთი გადახურვა ესთეტიკურადაც არადამაკმაყოფილებელია.

ძლიერი ქარების დროს ლითონის ქვეშ შესაძლოა დიდი წნევა წარმოიშვას ან ლითონის ფურცლოვანი გადახურვა გადახადოს. ამ მოსალოდნელი რისკის შესარბილებლად ლითონის სახურავი კარნიზის ქვებზე რკინის სამაგრებითა და სალტებითაა მიმაგრებული. ამის გამო დაწოლა ქვებზეც მოდის რაც ნათ მრავალრიცხოვან დაზიანებას იწვევს.

ბ. ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ეკლესია – ინტერიერი

კედლის მხატვრობის დაცულობა საგანგაშოა!!!

დაზიანებების ძიტიადი ნაწილი ზედა რეგისტრებზე მოდის – გუმბათსა და თაღებზე, თუმცა კედლების ვერტიკალური სიბრტყეების მხატვრობაც საკმაოდ გაზიანებულია.

- საკონსერვაციო ზომების გაუტარებლობა, ფერის დაკარგვა-გამოხუნება, დაფერილი ზედაპირების ჩამოშლის შემთხვევაში (ზოგიერთ ადგილას ასრთი ჩამოშლილი აგდილები სამშენებლო ცემენტითაა ამოვსებული) ქვედა სიღრმისეული ფენების გაუმაგრებლობა. მკვეთრი განსხვავება კედლის მხატვრობის დაზიანებულ მონაკვეთებსა და დაზიანებულ ნაწილებს შორის, როდესაც პირველ შემთხვევაში ფერები იმდენად მკაფიოა, რომ ნახატი სულ ახლახანს შექმნილსა ჰგავს, ხოლო უკანასკნელში-სივესტისაგან დაზიანებული მხატვრობა თითქმის მთლიანადაა გამქრალი ან ქრება, ადასტურებს, რომ კარგა ხანია, რაც იგი უმეთვალყურადაა დატოვებული და რომ კედლის მხატვრობის დაცვა-კონსერვაციაზე არავის უზრუნია. არის მინაკვეთები, სადაც ბათქაში მთლად ჩამოცივნილია და სამშვეებლო ქვა გაშიშვლებულია(მაგ. ჯვრის სამხრეთი მკლავის კედელში დატანილი სარკმელის შიდა ნაწილები). ჯვრის ჩრდილოეთი დასამხრეთი მკლავების კედლის მხატვრობას ადრე შემოსული წვიმის კვალი ეტყობა, რაც ალბათ ჩატეხილი ფანჯრის მინებიდან შემოდინდა.
- საკურთხევლის აფსიდის მეოთხედსფერული ფორმის ზედაპირი. აქ ზედა რეგისტრებში 1130 წლის მოზაიკის ზედა ჩამუქებულ

ნაწილებს ეტყობა, რომ დიდი ხანია ისინი არავის გაუწმენდია. ქვედა რეგისტრების კედლის მხატვრობის კონსერვაციის დონე საკმაოდ დაბალია.

წყლის შეღწევის მიმომუშამდე შემცირება უპირველესი პრიორიტეტია, რისთვისაც აუცილებელია გადახურვის მოგვარება და სარკმელების აღდგენა;

გ. ღვთისმშობლის მთავარი ტაძარი – ზედა სართული (საქალებო პატრონიკე)

- თაღოვანი გადახურვის და მისი საბოლოო იერსახის საკითხი და მისი იატაკის ქვის ნაწილის დაცვა აქ საკმაოდ პრობლემატური ჩანს.

დ. მონასტრის ტერიტორიაზე მდგარი სამრეკლოს სარესტავრაციო სამუშაოები სანახევროდაა დანსულებული;

ე. წმ. გიორგის ეკლესია

- მზგავსი პრობლემები გვხვდება წმ. იორგის ეკლესიაშიც, თუმცა აღსანიშნავის, რომ აქ ამ შემთხვევაში მე-16 საუკუნის კედლის მხატვრობის დაცულობა უარესია მთავარ ტაძართან სედარებით და ამდენად, სასწარაფო ჩარევა ბევრად უფრო საშურია. შამუხაროდ კედლის მხატვრობის დაზიანებული საგილების სამშენებლო ცემენტით ამოვსების შემთხვევები სულ უფრო იზრდება. ბათქაშის 60 პროცენტზე მეტი კედელს მოცილებულია და კედლის მხატვრობის საკმაოდ დიდი მონაკვეთები ამ დროისათვის სამუდამოდ დაკარგულია. არის რამდენიმე ადგილი, სადაც კედლი მხატვრობას შეუმცდარად ეტყობა წარსულში წვიმის წყლის ხანგრძლივი ზემოქმედების კვალი. სვეტების ქვაზე და კედლის მხატვრობაზე ახლად დაწერილი ხატებია მოთავსებული რომლებიც ღურსმანზეა ჩამოკიდებული. Xის ჩარჩოებიც კი ღურსმნებითაა მიმაგრებული საკურთხეველის ორიგინალურ ბოძებზე. მუდმივად მზარდმა ტენიანობამ უკვე მნიშვნელოვნად დააზიანა მოხატული კედლების ქვედა რეგისტრები. ნარტექსის კამარის მთელი ზედაპირი სამშენებლო ცემენტის ფენითაა დაფარული, რაც სრულიად მიუღებელია.

კონკრეტული რეკომენდაციები

- საგანგებოდ აუცილებელია და უპირველესი პროპრიეტია, რომ ხელისუფლებამ, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და მრჩეველთა ორგანიზაციებთან ერთად მოამზადოს ინტერიერის კედლის მხატვრობისა და მოზაიკის გაწმენდის, კონსერვაციისა და

რესტავრაციის დეტალური გრძელვადიანი პროგრამა, სადაც ჩართული იქნებიან შესაბამისი სფეროს საერთაშორისო მაშტაბის სპეციალისტები.

- აუცილებელია, წვერმა სახელმწიფომ სასწრაფოდ დაიწყოს მუშაობა ძეგლის მართვის გეგმის შემუშავებისა და მისი დანერგვა-ამოქმედების მიმართულებით, და ამ პროცესში გამართოს კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან.
- აუცილებელია, რომ შენარჩუნდეს სამონასტრო კომპლექსის უპირატესობა ქალაქზე, და მისი კავშირი ბუნებრივ და განაშენებულ გარემოსთან, რაც არ უნდა შეიცვალოს მომავალშიც. ველა ეს გარემოება აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ქალაქის ურბანული განვითარების ნებისმიერი გეგმის შემუშავების დროს და მათივე გათვალისწინებით განისაზღვროს ქალაქში ნებისმიერი ახალი შენობის მოცულობა, სიმაღლე და საერთო ხედში მათი “ჩაწერა”.

ბაგრატის ტაძარი

მოკლე ისტორია

ბაგრატის საკათედრო ტაძარი მე-11 საუკუნის დასაწყისში აიგო მეფე ბაგრატ III ბრძანებით და მისივე ქტიტორის სახელს ატარებს. შამსენებლო წარწერა ასხენებს ქორონიკონ 223-ს, რაც 1003 წელს შეესაბამება. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ტაძარი თურქებმა დაანგრიეს უკანდახევის დროს. 1770 წლის 6 აგვისტოს რუსეთის არმიამ ქვემეხები დაუშინა ქუტაისის ციხეს მწვანეყვავილას პოზიციებიდან. შწორედ ამ დროს ჩამოიქცა ტაძრის გუმბათი და დაინგრა სვეტები და სარკმელები. რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთის არმიამ კვლავ დაბომბა ტაძარი და საბოლოოდ ნანგრევებად აქცია იგი.

კონსერვაციის ისტორია

1939 -1992 წლებში ტაზრის გადარჩენილი ნაწილების სტაბილიზაცია მოხდა. ამ სამუშაოების მიზანი არა ტაძრის აღდგენა- შენება ან ეკლესიის ამოქმედება, არამედ ნანგრევების კონსოლიდაცია და ნგრევის მაშტაბების შეფასება იყო.

2001 წლისათვის წვეყანაში არსებული ყველა საელკესიო ნაგებობა საქატველოს მართლმადიდებელ ელესიას გადაეცა, რომლისთვისაც ამ ძეგლის აღდგენა, როგორც მოქმედი ელკესიისა უპირველეს პრიორიტეტად იქცა. 2002 წლისათვის კომპანიას, რომელსაც ბ-ნი გრემელაშვილი ხელმძღვანელობდა, ბაგრატის ტაძრის დაცვის კონცეფციის შემუშავება დაეკადა.

2003 წლისათვის შპს “არქიტექტურული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრმა” შეიმუშავა ბაგრატის დაცვის (პრეზერვაციის) პროექტი.

სამშენებლო პროექტები შეიმუშავა შპს “კაპიტალის” ინჟინერ-არქიტექტორთა ჯგუფმა.

სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო წინადადებები და შემოთავაზებები

2003 წლისათვის შპს “არქიტექტურული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრმა” მიიღო იუნესკოს მიზნობრივი გარანტი “ბაგრატის საკათედრო ტაძრის დაცვის მეცნიერული კონცეფციის შესამუშავებლად”, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- * ტაძრის სამეცნიერო-გეოლოგიური კვლევა;
- * ტაძრის სამსენებლო მასალის კვლევა;
- * ტაძრის საინჟინრო კვლევა;
- * ტაძრის წარწერების სესწავლა;
- * ტაძრის შესახებ არსებული ლიტერატურის კვლევა-მიმოხილვა;
- * ტაძრის არქეოლოგიური კვლევა;
- * ტაძრის რეკონსტრუქციის გეგმის მეთოდოლოგიის ანალიზი
- * ტაძრის დაცვის მეცნიერული კონცეფცია;

2004 წელს იუნესკომ ოფიციალურად დააფიქსირა თავისი პოზიცია და შეხედულება, რომ ნებისმიერი რეკონსტრუქცია უნდა ჩატარდეს ძეგლის განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისა და მისი ავთენტურობის დაურღვევლად და ამდენად, ურიანი იქნება ძეგლის მის აწინდელ მდგომარეობაში, ე.ი. ნანგრევების სახით შენარჩუნება.

2005 წელს განხორციელდა ძეგლის სრული ტექნიკური, საინჟინრო, არქეოლოგიური და არქიტექტურული კვლევა, რაც მიზნად ისახავდა ტაძრის ჩვენდღე მოღწეული ნაწილების მომზადებას სარეკონსტრუქციოდ, ისე, რომ საქართველოს ელკესიას შესძლებოდა კვლავ გამოეყენებინა იგი თავისი თავდაპირველი დანიშნულებით, ე.ი. ლიტურგიული მსახურებისათვის.

განხილული იქნა ორი წინადადება:

1. ფოკლადის კარკასის მქონე შუშის მსუბუქი კონსტრუქციის აგება, რომლის ქვეშაც მოექცეოდა მთლიანი ძეგლი და დაიცავდა მას ატმოსფერული ნალექებისა და სხვა ზემოქმედებებისაგან;
2. ტაძრის რეკონსტრუქცია რკინაბეტონისა და ქვის გამოყენებით.

ტაძრის ნანგრევების დე ფაქტო მდგომარეობით კონსერვაციის ალტერნატივა საერთოდ არ განუხილავთ.

2008 წელს საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს მართმადიდებელმა ელკესიამ წამოიწყო ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის ერთობლივი პროექტი, ძეგლის თავდაპირველი რელიგიური დანიშნულებით გამოყენების მიზნით, რაც ადრე განხილული

იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის სუჩოუს 28-ე სესიაზე 2004 წელს.

2008 წლის კვებეკში გამართულ 32-ე სესიაზე მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა გაადრთხილა წვერი-სახელმწიფო არ განეხორციელებინა ნებისმიერი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ძეგლზე, რომლებსაც შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება ექნებოდათ მის განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობაზე და ავთენტურობაზე და დაბეჯითები სთხოვა წვერ სახელმწიფოს, რათა არ წამოეწყო რაიმე მშენებლობა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ სარესტავრაციო პროექტის განხილვამდე.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და იკომოსის 2008 წლის ერთობლივმა სამონიტორინგო სარეაგირებო მისიამ აცნობა ხელისუფლებას, სამოქმედო მიითებების მოთხოვნები ძეგლის ავთენტურობის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ისტორიულად ფასეული შენობების რეკონსტრუქცია გამართლებულია მხილოდ გამინაკლილს შემთხვევებში, ისიც სტული და დეტალური დოკუმენტაციის არსებობის პირობით და არა თუნდაც უმცირესი ვარაუდის საფუზველზე.

ჭვერი ქვეყნის ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ მხოლოდ ტაძრის აღდგენის შესაძლებლობათა ანალიზის დასრულების, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და იკომოსის მიერ რეკონსტრუქციის პროექტის განხილვისა და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ პროექტის შემოწმების შემდეგ.

წვერმა-სახელმწიფომ წარმოადგინა ანგარიში, სადაც ხაზგასმული იყო, რომ ბაგრატის ტაძრისა და გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია ეროვნული პრიორიტეტებია. ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ პროექტით განსაზღვრული გარკვეული სამუშაოები უკვე ჩატარებული იყო. მართალია, ისინი ბაგრატის ტაძრის კონსერვაციის მხოლოდ საწყისი ეტაპია, ამავედროულად ისინი ამავე დროს ძეგლის რეკონსტრუქციის მოსამზადებელ საფეხურსაც წარმოადგენენ. ამის უტყუარი საბუთია შედგენილი დოკუმენტაცია, არსებული ნაგებობებისა და კედლების მდგრადობის დეტალური შემოწმება, კონსერვაციის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და სამშენებლო მასალების შემოწმება, წინასწარი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და 400 –ზე მეტი ავთენტური ქვის ბლოკის ხელახალი გამოყენება ისტორიული შენობის როგორც ინტერიერში ისე ესტერიერში. ამასთან, 2008 წელს კვებეკის 32-ე სესიაზე მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის თხოვნის მიუხედავად, წვერმა-სახელმწიფომ არ წარმოადგინა ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციარეკონსტრუქციის დეტალური პროექტი.

შენიშვნები:

1. მისია დარწმუნებულია და ადასტურებს, რომ ძალზედ სერიოზული ჩარევები უკვე დაწყებულია ძველზე. კერძოდ:
 - უკვე მოწყობილია რკინაბეტონის მიწისქვეშა წრე ტაძრის საძირკვლის ირგვლივ;
 - ძველი, ქვის სვეტების ნაცვლად მათ ადგილას ნაწილობრივ ამოყვანილია რკინაბეტონის სვეტები; რკინაბეტონის სვეტების ზედაპირი შემოსილია ქვის ფილების თხელი ფენით.
 - ტაძრის ექსტერიერის დაზიანებული ადგილები შეივსო ძველის ტარგზე მოწრილი ქვის ახალი ფილებით.
 - ძველის ინტერიერში კედლების გაშიშვლებული ნაწილები (ლაპარალია იმ ნაწილებზე, სადაც ქვის პირველდელი საფარი აღარ არსებობს) დაიფარა რკინის ბადით. რკინის ბადე ამოივსო სამშენებლო ცემენტით, რომელიც თავის მხრივ უნდა დაიფაროს ქვის ფილებით, რის შედეგადაც ეს პრობლემატური მონაკვეთები ქვის თხელი ფილებით დაიფარება.

ყველა ზემოხსენებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა შენობის ორიგინალური მასალის ყოველგვარი წინასწარი კონსერვაციის, რესტავრაციის ან გამაგრების გარეშე, რაც დიდ რისკთანაა დაკავშირებული (გადაზსნილი ნაკერები, ჩამოყრილი ქვები, ნაპრალები ნამტვრევები). ამდენად, ძველი კვლავ განიცდის ატმოსფერული ნალექების მავნე ზემოქმედებას, ხოლო სამშენებლო მასალა დაჩქარებულად ძველდება, ვინაიდან საკონსერვაციო სამუშაოები არ ჩატარებულა.

2. მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი და იკომოსი არ ფლობდა წვერი-სახელმწიფოს მიერ მოწოდებულ რაიმე წინასწარ ინფორმაციას წვერი სახელმწიფოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ძველზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების სურვილის შესახებ. პირიქით, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს ამ სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ შესფოთებულმა დაინტერესებულმა პირებმა შეატყობინეს.
3. სამომავლო სამუშაოები, რომელთა ჩატარება დაგეგმილია არსებული ნანგრევების საფუძველზე კიდევ უფრო მაშტაბურია. ამასთან, უკვე განხორციელებული ჩარევების გამო არსებული შენობა ძალზე ჰეტეროგენულია, არაერთგვაროვანია. ძველის ინტერიერის და ექსტერიერის ყველა დანგრეული ნაწილის აღდგენის განძრახვა მიზნად ისახავს ნაგებობის თავდაპირველი ფორმების და ფუნქციის – მოქმედი ელკესიის აღდგენას. ამის განხორციელება დაგეგმილია არსებული კედლების თავზე, მთელს პერიმეტრზე რკინაბეტონის სარტყლის განთავსების და რკინაბეტონის ახალი სვეტების ამოყვანის გზით. ამას მოჰყვება რკინაბეტონის კონსტრუქციების გიგანტური თაღოვანი მოცულობების და გუმბათის ამოყვანა, რაც საბოლოოდ უნდა

დაიფაროს ქვის ფილების ფენით ისე, რომ მოგვცეს ქვის ძველი წყობის იმიტაცია.

4. ხსენებული პროექტის არქიტექტურული გეგმები მისიას ორჯერ წარუდგინეს, საპროექტო გუნდის მშენებელ ინჟინერთა ჯგუფისაგან დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის შემდეგ. მოწოდებულმა დოკუმენტაციამ მისიის წევრებსა და ქართულ მხარეს შორის მკაცრი დისკუსიები გამოიწვია. ქართული ჯგუფის ურყევი პოზიცია ისაა, რომ მუშა ჯგუფის მიერ შემუშავებული მიდგომა ერთადერთი გზაა ძეგლის მავნე ატმოსფერული ზემოქმედებებისა და მომავალში შესაძლო სეისმური ზეგავლენებისაგან საიმედოდ დასაცავად და მეტიც, ამ მიდგომის წყალობით შესაძლებელი გახდება ნანგრევების აღდგენა და ნაგებობისათვის თავისი პირვანდელი დანიშნულების დაბრუნება, ანუ მისი როგორც ეკლესიის აღდგენა.
5. მისაიმ ნათკად და ცალსახად გამოხატა თავისი საპირისტირო პოზიცია ასეთ დიდმაშტაბიანი და ურთულესი რეკონსტრუქციის მიმართ, რაც სცილდება ძეგლის ქვის ტექსტურის კონსერვაცია/რესტავრაციის ნებისმიერი მეცნიერულად დასაბუთებული გზებისა და საშუალებების საზღვრებს. მეტიც, ძეგლის რეაბილიტაცია მისი სრულმაშტაბიანი აღდგენის გზით ეწინააღმდეგება შესაბამის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებულ წესებს და ფილოსოფიას, რაც მხოლოდ საგანგებო და გამონაკლის შემთხვევებშია დაშვებული. ამასთან დაკანშირებით მისაიმ აღნიშნა, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ძეგლი არ იყო შეტანილი როგორც “ეროვნული იდენტიფიკაციის და ერთიანობის სიმბოლო”, როგორც სურდათ წარმოჩინათ საპატრიარქოს ტექნიკური სამსახურის წარმომადგენლებს. ნუსხაში იგი შეტანილი იქნა როგორც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის განსაკუთრებული და საგანგებო მიღწევების ამსახველი ძეგლი, და რაც მთავარია, მაშინდელი, ე.ი. ნახევრად დანგრეული მდგომარეობით. ამასთან, საზგასმით აღინიშნა, რომ განზრახული უხეში ჩარევა ალბათ ერთიანად შეცვლის იმ ვითარებას, რომელთა შედეგადაც მოხდა ამ ძეგლის შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. ასეთ ჩარევას სავარაუდოდ კონკრეტული შედეგი მოჰყვება – ძეგლი შევა საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში და საბოლოოდ, მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის მოთხოვნათა საფუზველზე და მათ შესაბამისად ძეგლს საერთოდ ამოიღებენ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან.
6. ამის შემდეგ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომრიგი გამოთქვა რიგი შენიშვნები ტაძრის სარეკონსტრუქციო პროექტის შემოთავაზებული ვერსიის მიმართ და დაადასტურა თავისი სურვილი ამ მწვავე საკითხის გარშემო საერთაშორისო სემინარის მოწვევის პერსპექტივის განხილვის შესახებ. საქართველოს საპატრიარქოს კულტურული მემკვიდრეობის კომისიის წარმომადგენელი განსხვავებულ პოზიციაზე იდგა და განმარტავდა საპატრიარქოს სურვილს დანგრეული ძეგლის,

როგორც საღვთისმსახურებო ტაძრის აღდგენის შესახებ და რომაქედან გამომდინარე, ეკესიას სახელმწიფოსაგან მიღებული და მოწონებული აქვს წინადადება ძეგლის რეაბილიტაციის შესახებ.

მოსაზრებები

1. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ბაგრატის საკათედრო ტაძარი შეყვანილი იქნა ნანგრევების სახით და ძეგლის ნომინაციის No. 710 ფაილის იკომოსის მრჩეველთა კომისიის შეფასებაშიც ნათქვამია, რომ “ბაგრატის ტაძარი დანგრეულია და ipso facto შესაძლებელია, რომ ძეგლი მთლიანად ჩაითვალოს ავთენტურად”. ამავ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მრჩეველები “დიდად საეჭვოდ მიიჩნევენ ტაძრის რეკონსტრუქციის ყველა განხილულ პროექტს და მისი როგორც ეკლესიის ხელახალი კურთხევის შესაძლებლობას.”
2. სამოქმედო მითითებების 86-ე მუხლის დებულებათა თანახმად, “ავთენტურობასთან დაკავშირებით ისტორიული ნაგებობების ან რაიონების არქეოლოგიური ნაშთების რეკონსტრუქცია გამართლებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. დეკონსტრუქცია დასაშვებია მხოლოდ დეტალური და ყოვლისმომცველი დოკუმენტაციის საფუძველზე და არა ვარაუდზე დაყრდნობით, მიუხედავად ვარაუდის ხვედრითი წილისა.” გრემელაშვილის ბიუროს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში “ბაგრატის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტის მოკლე განმარტება (შერჩეული მეთოდოლოგიის დამტკიცება) სარეკონსტრუქციო სამუშაოების მხოლოდ ერთი ნაწილი ეფუძნება შესაბამის მისაღებ დოკუმენტაციას, როდესაც მისი მეორე, უდიდესი ნაწილი წმინდად ვარაუდებზეა დამყარებული და ძალზე ჰიპოთეტურია. უდაოა, რომ არსებული ფორმების შემორჩენილი ნაწილების საფუძველზე შესაძლებელია მათი გავრცობა და ნაწილობრივ დანგრეული თაღების აღდგენა გეომეტრიული პროექციებისა და ათვლების საფუძველზე, მაგრამ თაღის სიმაღლე, გუმბათის ყელის ფორმა და გუმბათის სიმაღლე მთლიანად ჰიპოთეტურია. ამასთანავე, მისია დიდი ეჭვის ქვეშ აყენებს იმ “საგანგებო ვითარებებსა და გარემოებებს”, რომლითაც მასონიძელი მხარე აპელირებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ჩანს, რომ უდაოდ არსებობს ბაგრატის ტაძრის აღდგენის როგორც სახალხო, ისე პოლიტიკური ნება, მაგრამ ფაქტია, რომ ნაგებობა მრავალი საუკუნის წინ დაინგრა დამ ას, როგორც ნანგრევს უკვე აქვს თავისი სიცოცხლე და თავისი ისტორია.
3. იკომოსის 2004 წლის მისიის ანგარიშში, რომელიც პროფ. ანჯეი ტომაშევსკის მიერაა შედგენილი, მათქვამია, რომ “ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ ტაძრის აღდგენის გადაწყვეტილება ინდენად მტკიცეა, რომ შესაძლოა ეს მართლაც განხორციელდეს იმის მიუხედავად, რომ აღდგენის შედეგად ძეგლი შესაძლოა ამოღებული იქნას მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან.” აქვე

ნათქვამია, რომ “მისიის აზრით იკომოსმა და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მათ ხელთ არსებული ყველა ღონე უნდა იხმარონ რათა დაარწმუნონ წვერი სახელმწიფო და თვიდან აიცილონ ტაძრის ხელახალი მშენებლობა.”

4. იმ დროს, როდესაც არქიტექტურულ-სარესტავრაციო კომპანიის წარმომადგენელთა განცხადების თანახმად შემოთავაზებული საპროექტო წინადადება ძეგლს სეისმურად მედეგს გახდის და უზრუნველყოფს მის მდგრადობას ძლიერი მიწისძვრების დროს, მისია შესფოთებას გამოთქვამს აღდგენილი ნარილების ძალზე არასაკმარისი მოქნილობისა და იმ დიდი სიმძიმის გამო, რაც შუა საუკუნეების კედლებს დააწვება. ამასთანავე, შემფოთებაა გამოთქმული ავთენტური კედლების გამაგრება-კონსოლიდაციის შემოთავაზებული მეთოდოლოგიის მიმართაც, რაც არა მხოლოდ საგრძნობლად ამცირებს მასალის ავთენტურობას, არამედ შესაძლოა სამომავლოდ წარმოქმნას მრავალი პრობლემა კონსერვაციის მეთოდებისა და მასალის შერჩევის თვალსაზრისით.

კონკრეტული რეკომენდაციები:

- დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ყველა სახის ჩარევა ძეგლზე, მათ შორის არსებული ნანგრევების “კონსოლიდაციის სამუშაოების” ჩათვლით;
- იმის გათვალისწინებით, რომ წვერმა-სახელმწიფომ არ დააკმაყოფილა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ყველა მითხოვნა (იხ. გადაწყვეტილება 33 COM 7B 103) და ამის გამო და ამდენად, სამოქმედო მითითებების მეოთხე (IV) B თავის დებულებათა თანახმად ძეგლი განიხილება როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი, მისია გამოთქვამს რეკომენდაციას, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა შეიტანოს ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი (საქართველო) საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.
- უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ წვერი-სახელმწიფოს გადაწყვეტილებით ბაგრატის ტაძრის სარეკონსტრუქციო სამუშაოები გაგრძელდება, სსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა შესაძლოა წამოაყენოს წინადადება მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ძეგლის საბოლოო ამოღების შესახებ სამოქმედო მითითებების მეოთხე (IV) C თავის დებულებათა თანახმად.

დასკვნა:

განსოხორციელებელი გამოსასწორებელი ზომების შესახებ ძეგლის კონსერვაციის მდგრადობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მისაღწევად და ამ გამოსასწორებელი ზომებით განსაზღვრული შედეგების მიღების გაგმა-განრიგი.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან მრავალგზის შეხვედრებისა და ძეგლებზე საველე გასვლების შედეგებზე დაყრდნობით, წავრ-სახელმწიფოსთან კონსულტაციების საფუძველზე და ძეგლის საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანის გამო და ამის გათვალისწინებით, მისაიმ მოამზადა დოკუმენტი ძეგლის კონსერვაციის სასურველი მდგომარეობის შესახებ, სადაც მითითებულია გამოსასწორებელი ზომების ჩამონათვალი და მათი განხორციელების გეგმა-გრაფიკი. კერძოდ:

განცხადება ბაგრატის ტაძრისა და გელათის სამონასტრო კომპლექსის (საქართველო) კონსერვაციის სასურველი მდგომარეობის შესახებ მათი განასკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მიზნელობის საფუძველზე:

კონსერვაციის სასურველი მდგომარეობა:

- ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის შეჩერება;
- ბაგრატის ტაძარზე უკვე განხორციელებული ჩარევების სრული ან ნაწილობრივი გაუქმება-არმოფხვრა;
- სერთაშორისოდ აღიარებულ კონსერვაციის ინჟინრებთან და არქიტექტორ-კონსერვატორებთან კონსულტაციების საფუძველზე ბაგრატის ტაძრის ნანგრევების სრული კონსოლიდაციის პროექტის შემუშავება და განხორციელება;
- ძეგლების მართვის ყოვლისმომცველი სისტემის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება, რომელიც უნდა მოიცავდეს ტურიზმის სტრატეგიას და ისტორიული ძეგლებისა და შენობების გამოყენების მითითებებს, ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების და მათი ყველა კომპონენტის კონსერვაციის ზოგადი გეგმის, მათი ბუფერული ზონების განსაზღვრის და ურბანული განვითარების ზოგადი გეგმისა და მიწათსარგებლობის მარეგულირებელი წესების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება.
- ბაგრატის ტაძრისა და გელათის სამონასტრო კომპლექსის ისტორიული ნაგებობების გრძელვადიანი კონსოლიდაციისა და კონსერვაციის უზრუნველყოფა.

აუცილებელი გამოსასწორებელი ზომები და მათი განხორციელების გეგმა-გამრიგი:

ა. დაუყოვნებლივ გასახორციელებელი ცვლილებები:

ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის შეჩერება და სერთაშორისო მაშტაბის კონსერვაციის ინჟინრებისა და არქიტექტორ-კონსერვატორების მონაწილეობით კონსულტაციების ორგანიზება, რომელთა დროს უნდა

განიხილონ უკვე განხორციელებული ჩარევების სრული ან ნაწილობრივი გაუქმებისა და აღმოფხვრის და ბაგრატის ტაძრის ჩვენამდე მოღწეული ნანგრევების სტრუქტურული კონსოლიდაციის გზები და მეთოდები;

ბ. ერთიდან ორ წლამდე პერიოდში განსახორციელებელი ცვლილებები:

- (i) ბაგრატის ტაძარზე უკვე განხორციელებული ჩარევების სრული ან ნაწილობრივი აღმოფხვრა და გაუქმება ძეგლის საძირკვლის ისრგვლივ მოწყობილი რკინაბეტონის მიწისქვეშა სარტყლის გათვალისწინებით);
- (ii) ბაგრატის ტაძრის ნანგრევების სრული გამაგრება-კონსოლიდაციის პროექტის შემუშავება საერთაშორისო მაშტაბის ინჟინერ-კონსერვატორებთან და არქიტექტორ-რესტავრატორებთან კონსულტაციების საფუძველზე;
- (iii) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ყველა კომპონენტის ფიზიკური კონსერვაციის მონიტორინგის რეჟიმის შემუშავება მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების გრძელვადიანი კონსერვაციის, კონსოლიდაციის და დაცვის უზრუნველსაყოფად.
- (iv) ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობის ნათელი და გამჭვირვალე მექანიზმის შემუშავება და განხორციელება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძეგლების კონსერვაციის საკითხი პრიორიტეტული გახდა სამთავრობო დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გ. ორიდან სამ წლამდე პერიოდში განსახორციელებელი ცვლილებები

- (i) ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღება, რაც უზრუნველყოფს ძეგლების განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის დაცვას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების იმ კომპონენტების მოვლა-პატრონობის საშუალებით, რომლებიც განაპირობებენ და განსაზღვრავენ მათ განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას;
- (ii) მართვის ყოვლისმომცველი სისტემის შემუშავება და მიღება, რომელიც უნდა შეიცავდეს მართვის ინტეგრირებულ გეგმას ტურიზმის განვითარების სტრატეგიის და ისტორიული ნაგებობებისა და ძეგლების გამოყენების მითითებებს, კონსერვაციის ზოგად გეგმას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ყველა კომპონენტისათვის, ამ ძეგლების ბუფერული ზონების განსაზღვრას და ურბანული განვითარების ძირითად გეგმას მიწათსარგებლობის მარეგულირებელი წესების მიღების ჩათვლიათ.

დ. ხუთი წლის ვადაში განსახორციელებელი ცვლილებები

- (i) ყველა ისტორიულ ძეგლის დოკუმენტაციის მომზადება ციფრულ ფორმატში და მათი მართვის, კონსერვაციის და დაგეგმვის მიზნებისათვის ძეგლების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ვერსიის დასრულება;
- (ii) კედლის მხატვრობის სრული ინვენტარიზაცია ყველა ისტორიული ძეგლის კოორდინატთა სისტემის შემუშავების ჩათვლით;
- (iii) შეთანხმებული პროექტების შესაბამისად ძეგლებისა და კედლის მხატვრობის რესტავრაციის დასრულება;
- (iv) გელათის სამონასტრო კომპლექსის ეკლესიების სტრუქტურული კონსერვაციის და რესტავრაციის დეტალური პროგრამის შემუშავება და გამხორციელება;
- (v) გელათის მონასტრის ეკლესიების ინტერიერის კედლის მხატვრობისა და მოზაიკის სისტემატური გაწმენდის, კონსერვაციისა და რესტავრაციის დეტალური გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება სადაც ჩართული იქნებიან შესაბამისი სფეროს საერთაშორისო მაშტაბის სპეციალისტები და მისი განხორციელება.

დანართი

გადაწყვეტილება 33 COM 7 B.103

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი,

1. განიხილა რა დოკუმენტი WHC-09/33.COM/7B,
2. იხსენებს რა გადაწყვეტილებას **32 COM 7 B.91**, რომელიც მიღებული იქნა 32 სესიაზე (კუებეკი, 2008)
3. განმეორებით მოითხოვს წევრი -სახელმწიფოსაგან რათა მან სასწაფოდ მოამზადოს, მიიღოს და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს და მრჩეველ ორგანიზაციებს მოაწოდოს ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის მართვის გეგმები მათი საზღვრების დამდგენი დოკუმენტაციის ჩათვლით, სადაც ნათლად იქნება მითითებული ბუფერული ზონები;
4. მოითხოვს წევრი-სახელმწიფოსაგან, რომ მან სრული და დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდოს ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ, მათი რეკონსტრუქციის პროექტების ჩათვლით და მათ შესაბამისად ძეგლებზე განხორციელებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.
5. იწვევს წევრ-სახელმწიფოს რათა მან მოამზადოს საერთაშორისო დონორების მონაწილეობით კონფერენციის მოწყობის ინიციატივისათვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც განიხილება საქართველოში არსებული მსოფლიო მემკვიდრეობის ყველა ძეგლთან დაკავშირებული პრობლემატიკა;

6. ასევე მოითხოვს, რომ წევრმა-სახელმწიფომ 2011 წლის 1 თებერვლისათვის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მიაწოდოს ანგარიში მიმდინარე ვითარების შესახებ, რომელსაც თან დაურთავს სრულ და დეტალურ დოკუმენტაციას ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის ახალი პროექტის შესახებ, ამ უკანასკნელის მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 2011 წლის 35-ე სესიაზე განხილვის მიზნით;